



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №41/4

2021 წლის 23 სექტემბერი

ქ. თბილისი

შპს „მტკვარი ენერჯის“ (თბილისრესის №9 ბლოკი) მიერ წარმოდგენილი ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (შემდგომში – კომისია) შპს „მტკვარი ენერჯიმ“ წარმოადგინა 2021 წლის 7 და 10 სექტემბრის №111/1 და №115/1 წერილები და მოითხოვა მას და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს“ შორის 2021 წლის ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდზე ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 14¹ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა ო ყ ვ ი ტ ა:


1. შეთანხმებული იქნეს შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ 2021 წლის 7 და 10 სექტემბრის №111/1 და №115/1 წერილებით კომისიაში წარმოდგენილი შპს „მტკვარი ენერჯისა“ და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს“ შორის გაფორმებულ 2018 წლის 15 ნოემბრის №ME 01-12/19 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2021 წლის 6 სექტემბრის შეთანხმება, 2021 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ.
2. კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ხელშეკრულების ფასის, ანგარიშსწორების პირობების და მოქმედების პერიოდის გამოქვეყნება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).
3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.
5. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

დავით ნარმანია


კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი



კომისიის წევრი

მაია მელიქიძე


კომისიის წევრი



გიორგი ფრუიძე


კომისიის წევრი